

ყაზბეგის, ფშავ-ხევსურეთის და თუშეთის დაცული ტერიტორიებისთვის მდგრადი ვიზიტორთა ბილიკისა და მთის ქოხების მოწყობა და მშენებლობა

მოკლე ანოტაცია

ჯუთა - ომალოს ბილიკების ქსელი მოიცავს კავკასიონის ქედის ჩრდილო კალთებზე ისტორიულ ხევს, მცხეთა-მთიანეთის რეგიონს, დუშეთის მიუნიციპალიტეტსა და აღმოსავლეთ კავკასიონზე თუშეთის ქვაბულს. მისი საერთო ფართობი 341 260.4 ჰა-ს შეადგენს. ყველაზე დაბალი წერტილი ზღ. დ-დან 900 მ-ზე მდებარეობს, ხოლო ყველაზე მაღალი წერტილი ზღ.დ-დან 3431მ-ია.

საფეხმავლო მარშრუტზე, საბაზისო ინფრასტრუქტურის სახით, შემდეგი ობიექტების განთავსებაა გათვალისწინებული: ხიდები, მოაჯირები და კლდის საფეხურები.

ხიდები - მარშრუტზე სხვადასხვა სიგრძის (4-დან 16-მეტრამდე) ხიდების დროებითი და სტანდარტული კონსტრუქსაფეხმავლო მარშრუტზე, საბაზისო ინფრასტრუქტურის სახით, შემდეგი ობიექტების განთავსებაა გათვალისწინებული: ხიდები, მოაჯირები და კლდის საფეხურები. ხიდები - მარშრუტზე სხვადასხვა სიგრძის (4-დან 16-მეტრამდე) ხიდების დროებითი და სტანდარტული კონსტრუქციებია გათვალისწინებული. ასევე იგეგმება ლოდებით მოწყობილი ფონური ხიდების განთავსება.

ჯაჭვის მოაჯირი, როგორც დამცავი ბაგირი, ბილიკის ორ მონაკვეთზე განთავსდება.

ჯამში 130 მეტრი.

კლდოვან რელიეფზე ჰორიზონტალური საფეხურები მარშრუტის ერთ მონაკვეთზეა გათვალისწინებული. ჯამში 30 მეტრი.

მონიშვნისათვის:

- ორწარწერიანი მანიშნებელი დაფა - 81 ცალი
- ერთწარწერიანი მანიშნებელი დაფა - 39 ცალი
- უწარწერო - 184 ცალი
- ბოძი მანიშნებელი დაფისთვის - 124 ცალი
- ცალმხრივი საინფ. დაფა - 18 ცალი
- ადგილის ნიშანი - 31 ცალი
- წყლის ნიშანი - 2 ცალი
- ქვათაცვენის ნიშანი - 2 ცალი
- ბოძი ნიშნულისთვის - 3 ცალი
- ლოგოიანი სტიკერი - 124 ცალი

ძირითადი მახასიათებლები: ასაწყობი ხიდის კონსტრუქცია თითო მეტრიანი ნაწილისგან შედგება და სასურველი სიგრძისა ეწყობა. მსგავსი მოდელი ადვილად ტრანსპორტირებადია და მეტად მოქნილია

არაერთგვაროვან რელიეფზე მონტაჟისთვის. გრძელვადიანი ექსპლუატაციის მიზნით ხიდი მეტალის კონსტრუქციისაა, რომელიც ანტი-კოროზიული ხსნარით უნდა დამუშავდეს .

მარშრუტის საერთო სიგრძე: 204.8 კმ

მოსანიშნი მონაკვეთის სიგრძე: 77.79 კმ

სარეაბილიტაციო მონაკვეთის სიგრძე: 127.04 კმ

საფეხმავლო ბილიკის სიგანე (საველე შეფასებაზე დაყრდნობით) 0.8 მ იქნება, ბილიკის გრძივი დახრილობა არ უნდა აღემატებოდეს 22% . ბილიკის ვაკისის განივი დახრილობისათვის 2%-3% რეკომენდირებული წყლის გადადინებისა და ეროზიის თავიდან აცილების მიზნით.

სეგმენტებისა და რელიეფის მახასიათებლების მიხედვით ბილიკზე გრუნტის მოჭრისა და ხელით დამუშავების მოცულობა საშუალოდ განისაზღვრულია 0.33 კუბი საშუალოდ 1.3 კვ.მ -ზე.

ბილიკი უნდა მოინიშნოს, ბილიკებისა და გეგმარების ეროვნული რეგლამენტის შესაბამისად ბილიკის მონიშვნის პროექტი და სივრცეში მათი ინტეგრირებული საჭირო ინფრასტრუქტურა იხილეთ დანართის სახით.

ძირითადი სამშენებლო სამუშაოები:

1. ხიდების მოწყობა
2. ჰორიზონტალური(კონსოლური) საფეხურების მოწყობა კლდეზე
3. ჯაჭვის მოაჯირის მოწყობა
4. ბალახის კორდის მოხსნა
5. მოშანდაკება
6. ბილიკებზე გრძივი და განივი ვაკისების მოწყობა
7. მონიშვნა

პროექტით გათვალისწინებულია ღამის სათევი ქოხების მოწყობა 7 ლოკაციაზე:

- აბუდელაური - ყაზბეგის ეროვნული პარკის და არაგვის დაცული ლანდშაფტის ტერიტორია.
- ზედა ტანე - ყაზბეგის ეროვნული პარკის და არაგვის დაცული ლანდშაფტის ტერიტორია.
- არხოტის თავი - ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ტერიტორია.
- დათვისჯვარი - ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ტერიტორია.
- ქვედა ტანე - ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ტერიტორია.
- ხიდოტანი - ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ტერიტორია.
- ქვახიდი - თუშეთის ეროვნული პარკი და თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორია.

ნაკვეთების ჯამური ფართი ----- 12096 მ2

ქოხების მოშენების ჯამური ფართი ----- 1815,2 მ2;

სამთო ქოხი წარმოადგენს საფეხმავლო ბილიკების ქსელთან მიბმულ დამის სათევ ადგილს. ყველა ქოხი ერთსართულიანია და ორგანულად არის განთავსებული მოცემულ ლანდშაფტში. მათი ოპერირება ზამთარშიც არის შესაძლებელი. თითქმის ყველა ქოხთან გათვალისწინებულია დამხმარე ნაგებობა და საკემპინგე სივრცე. შენობები ძირითადად მოპირკეთებულია ნატურალური მასალებით (ხე, ფიქალი, ქვის წყობა ...)

ძირითადი სამშენებლო სამუშაოები:

1. მიწის სამუშაოები - 159 მ3;
2. მონოლითური რ/ბეტონის კონსტრუქციების მოწყობა - 160,9 მ3;
3. ლითონის კონსტრუქციის მოწყობა - 130,5 ტნ;
4. ხის კონსტრუქციები და მოსაპირკეთებელი მასალა - 584,3 მ3;
5. ქვით მოპირკეთება და ქვის საფეხურების მოწყობა - 196 მ3;
6. ფიქალის სახურვის მოწყობა - 1759 მ2;
7. ყავარის სახურვის მოწყობა - 120,4 მ2;
8. ხის კარ-ფანჯრის, დარბაზ მოწყობა - 354,9 მ2;
9. ალუმინის კარ-ფანჯრების მოწყობა - 102,3 მ2;
10. რკინის კარის და ცხაურის მოწყობა - 6,5 მ2;